



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 49232262

თარიღი:14/08/2023

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის  
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების  
მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის  
მაია ბერაძის შვებულების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტების, 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **მაია ბერაძეს** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ნება დაერთოს ისარგებლოს 2023 წლის ანაზღაურებადი შვებულებით, 8 სამუშაო დღე, 2023 წლის 21 აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.
2. არმყოფი მოხელის ფუნქციების შესრულება, დროებით დაეკისროს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს გელა თათარაშვილს.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს საშვებულებო თანხისა და გელა თათარაშვილისათვის დამატებითი ფუნქციის შესრულებისათვის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში სახელფასო დანამატის გაცემა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

